შესავალი

წინამდებარე პრეზენტაცია არის ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და ბანკთაშორისი ბაზრის ოპერაციების მოკლე აღწერილობა

პრეზენტაცია არის მხოლოდ საცნობარო ხასიათის, ბიზნეს საქმიანობაში გამოყენებისათვის ბანკებმა უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი ნორმატიული აქტებით

საქართველოს ეროვნული ბანკი
თბილისი, 2023

- **სების მონეტარული ინსტრუმენტები**
  - მონეტარული ოპერაციების ძირითადი პრინციპები
  - მონეტარული ოპერაციების გირაოს სახეობები
  - სადეპოზიტო სერტიფიკატები
  - ერთდღიანი დეპოზიტები
  - ერთდღიანი სესხები
  - რეფინანსირების სესხები
  - ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი (1MOMI)
  - ღია ბაზრის ოპერაციები (OMO)
  - დღის შიდა სესხი
  - ბოლო ინსტანციის სესხი
  - მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები
  - სებ-ის სავალუტო ინტერვენციები
- **ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი (სპოტი, ფორვარდი)**
- **ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი**
- **ფასიანი ქაღალდების ბანკთაშორისი მეორადი ბაზარი**
- **ბანკთაშორისი რეპო ოპერაციები**

მონეტარული ოპერაციების ძირითადი პრინციპები

- **სამართლებრივი საფუძველი**: საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლები 27-34 და სების შესაბამისი ნორმატიული აქტები
- **მონეტარული ოპერაციების ვალუტა**: ლარი
- **სესხების სახეობა**: უზრუნველყოფილი შესაბამისი გირაოთი
- **სებ-ის ოპერაციების პლატფორმა**: ძირითადად აუქციონი Bloomberg-ის აუქციონის პლატფორმაზე
- **საოპერაციო სისტემები**: სპეციალური ინტერფეისით დაკავშირებული სისტემები:
  - საერთაშორისო Bloomberg-ის ელექტრონული სავაჭრო სისტემა და მისი სხვადასხვა პლატფორმები
  - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მართვადი საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა GSSS
  - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მართვადი დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა RTGS
  - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მართვადი საკუთარი ოპერაციების წარმოების ძირითადი საბანკო მოდული

მონეტარული ოპერაციების გირაოს სახეობები

- **<u>რეგულაცია</u>**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების გირაოს საკითხები რეგულირდება სების საბჭოს შესაბამისი დებულებით: <u>„საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირაოს მართვის დებულება"</u>

- **<u>სახეობები</u>**: სების ძირითადი მონეტარული ოპერაციებისათვის ფინანსურ გირაოდ ნებადართულია შემდეგი სახეობის აქტივების გამოყენება:

  - საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები:

    - *საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები;*
    - *საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებები;*
    - *საქართველოს მთავრობის სახაზინო ობლიგაციები;*
    - *საქართველოს მთავრობის სახელმწიფო ობლიგაციები;*

  - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები

  - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო შეთავაზების გზით რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, გარდა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა

  - კომერციული ბანკის სასესხო აქტივები

სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები (CD)

- **სახეობა**: მოკლევადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდი
- **დანიშნულება**: საბანკო სისტემიდან ჭარბი ფულის ამოღება
- **რეგულაცია**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 12
- **ვადიანობა**: 3 თვე
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **გამოშვების პერიოდულობა**: თვეში ერთხელ, სამშაბათობით, 10:45-11:00 პერიოდში
- **ანგარიშსწორება:** აუქციონის შემდეგი მე-2 სამუშაო დღე (T+2)
- **პირველადი ბაზარი**: სებ-ის აუქციონი Bloomberg-ის სისტემაში
- **შემოსავლიანობის განსაზღვრა**: აუქციონზე მრავალი ფასის მეთოდით
- **ანგარიშსწორება**: GSSS სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით, ავტომატიზირებული DvP ტრანზაქცია, STP პროცესი
- **გირაოდ გამოყენების შესაძლებლობა**: სებ-თან და სხვა ბანკებთან, დაგირავება წარმოებს GSSS სისტემაში, ყოველდღიურად 9:40 საათიდან 18:40 საათამდე
- **გამოყენების სხვა შესაძლებლობები**: რეპო ოპერაციები, და ყიდვა-გაყიდვა ბანკთაშორის მეორად ბაზარზე

ერთდღიანი დეპოზიტები

- **დანიშნულება**: კომერციული ბანკებიდან ერდღიანი ჭარბი ლიკვიდობის ამოღება და ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირება
- **რეგულაცია**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 11
- **ვადიანობა**: ერთი დღე
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **საპროცენტო განაკვეთი**: საჯარიმო (საბაზროზე დაბალი), მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1.75 პროცენტული პუნქტი.
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: RTGS სისტემა
- **განთავსება**: STP პროცესი, დეპოზიტის თანხა განისაზღვრება და იმართება თვით კომერციული ბანკის მიერ სებ-თვის წინასწარი შეტყობინების გარეშე
- **განთავსების დრო**: ყოველ სამუშაო დღეს, 18:55 საათამდე
- **დაბრუნება**: STP პროცესი, მომდევნო სამუშაო დღის გახსნისთანავე 10:00 საათამდე

ერთდღიანი სესხი

- **დანიშნულება**: კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი ლიკვიდობის მიწოდება და ბანკთაშორის ფულად ბაზრზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირება
- **რეგულაცია**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 10
- **ვადიანობა**: ერთი დღე, უზრუნველყოფილი სესხი
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **საპროცენტო განაკვეთი**: საჯარიმო (საბაზროზე მაღალი), მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 0.75 პროცენტული პუნქტი.
- **სესხის აღების დრო**: ყოველდღიურად 9:40 საათიდან 18:40 საათამდე
- **სესხის განაცხადი**: ელექტრონული საშუალებით GSSS სისტემის მეშვეობით, თანხა განისაზღვრება კომერციული ბანკის მიერ სებითვის წინასწარი შეტყობინების გარეშე
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: STP პროცესი, RTGS სისტემა GSSS სისტემის მეშვეობით
- **სესხის დაფარვა**: STP პროცესი, GSSS სამუშაო დღის გახსნისთანავე 9:40 საათიდან არაუგვიანეს 18:40 საათამდე
- **გირაოს რეგისტრაცია**: GSSS სისტემა, ავტომატიზირებული პროცესი

რეფინანსირების სესხი

- **დანიშნულება**: კომერციული ბანკებისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება და ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვა
- **რეგულაცია**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 8
- **ვადიანობა**: 7 დღე, უზრუნველყოფილი სესხი
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **საპროცენტო განაკვეთი**: მინიმუმ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, დგინდება აუქციონზე მრავალი ფასის მეთოდით
- **აუქციონის განაცხადის წარდგენა**: აუქციონზე Bloomberg-ის პლატფორმაზე
- **აუქციონის დრო**: ყოველ ოთხშაბათს 15:00-15:15 პერიოდში
- **ანგარიშსწორების დღე:** აუქციონის მომდევნო სამუშაო დღე (T+1)
- **სესხის განაცხადი**: ელექტრონული საშუალებით GSSS სისტემის მეშვეობით
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: GSSS სისტემა და RTGS სისტემა, ავტომატიზირებული პროცესი
- **სესხის დაფარვა**: STP პროცესი, GSSS სამუშაო დღის გახსნისთანავე 9:40 საათიდან არაუგვიანეს 18:40 საათამდე
- **გირაოს რეგისტრაცია**: ავტომატური პროცესი GSSS სისტემაში, შესაძლებელია ბანკის მიერ გირაოს ჩანაცვლება.

ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი (1MOMI)

- **დანიშნულება**: კომერციული ბანკებისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება და ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვა
- **რეგულაცია**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 8-1
- **ვადიანობა**: 28 დღე, უზრუნველყოფილი სესხი
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **საპროცენტო განაკვეთი**: მინიმუმ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, დგინდება აუქციონზე მრავალი ფასის მეთოდით
- **აუქციონის განაცხადის წარდგენა**: აუქციონზე Bloomberg-ის პლატფორმით
- **აუქციონის დრო**: ოთხშაბათი 10:15-10:30 პერიოდში
- **ანგარიშსწორების დღე:** აუქციონის მომდევნო სამუშაო დღე (T+1)
- **სესხის განაცხადი**: ელექტრონული საშუალებით GSSS სისტემის მეშვეობით
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: GSSS სისტემა და RTGS სისტემა, ავტომატიზირებული პროცესი
- **სესხის დაფარვა**: STP პროცესი, GSSS სამუშაო დღის გახსნისთანავე 9:40 საათიდან არაუგვიანეს 18:40 საათამდე
- **გირაოს რეგისტრაცია**: ავტომატური პროცესი GSSS სისტემაში, შესაძლებელია ბანკის მიერ გირაოს ჩანაცვლება.

ღია ბაზრის ოპერაციები (OMO)

- **დანიშნულება**: ლარის ლიკვიდობის მიწოდების ან აბსორბირების მიზნით სების მიერ ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა ან გაყიდვა.
- **რეგულაცია**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 13
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **აუქციონის განაცხადის წარდგენა**: აუქციონზე Bloomberg-ის პლატფორმით
- **აუქციონის დრო**: ძირითადად თვეში ერთხელ, ოთხშაბათი 12:00-12:15 პერიოდში
- **ანგარიშსწორების დღე**: აუქციონის მომდევნო სამუშაო დღე (T+1)
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: GSSS სისტემა და RTGS სისტემის, DvP ტრანზაქცია, ავტომატიზირებული პროცესი

დღის შიდა სესხი

- **დანიშნულება**: კომერციული ბანკებისათვის დღის განმავლობაში ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი ლიკვიდობის მიწოდების საშუალება
- **რეგულაცია**: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 9
- **ვადიანობა**: სამუშაო დღის განმავლობაში
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **საპროცენტო განაკვეთი**: 0%
- **სესხის აღების შესაძლებლობა**: კომერციული ბანკის ინიცირება GSSS და RTGS სისტემების მეშვეობით, ყოველი სამუშაო დღეს 9:40-დან 18:40 საათამდე
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: RTGS სისტემა, ავტომატიზირებული პროცესი
- **სესხის დაფარვა**: STP პროცესი RTGS სისტემაში
- **გირაოს რეგისტრაცია**: ავტომატური პროცესი GSSS სისტემაში, შესაძლებელია ბანკის მიერ გირაოს ჩანაცვლება.

ბოლო ინსტანციის სესხი

- **დანიშნულება**: განსაკუთრებულ შემთხვევებში ლიკვიდობის მწვავე და დროებითი პრობლემების მქონე ბანკისთვის საჭირო ლიკვიდობის მიწოდება
- **რეგულაცია:** საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისთვის სესხის გაცემის წესი
- **სესხის გაცემის გადაწყვეტილების მიმღები**: სებ-ის საბჭო
- **ვადიანობა**: სტანდარტულად არაუმეტეს 3 თვისა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევები დაშვებულია ვადის გაგრძელება
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **საპროცენტო განაკვეთი**: სებ-ის ერთდღიან სესხზე დაწესებული პროცენტზე მეტი
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: RTGS სისტემა
- **სესხის დაფარვა**: ავტომატური პროცესი სესხის დაფარვის დღეს
- **გირაოს რეგისტრაცია**: ფასიანი ქაღალდების დაგირავების შემთხვევაში GSSS სისტემა, ხოლო სხვა აქტივების შემთხვევაში - ასეთი აქტივების გირავნობის მარეგისტრირებელ უწყებაში

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

- **დანიშნულება**: ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა
- **რეგულაცია**: **კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი**
- **მონაწილეები**: მხოლოდ კომერციული ბანკები
- **სარეზერვო მოთხოვნები**: ბანკების მოზიდულ სახსრებზე
- **სარეზერვო ნორმა**: ლარებში 5%, უცხოურ ვალუტაში 10-25%, დამოკიდებულია თითოეული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტზე
- **რეზერვების განთავსება**: სებ-ში სარეზერვო ანგარიშებზე
- **დაცვის პერიოდი**: 14 დღე
- **სავალდებულო რეზერვები ლარებში**: მინიმუმ პერიოდის საშუალო თანხა ლარის საკორესპონდენტო ანგარიშზე სებში
- **სავალდებულო რეზერვები უცხოურ ვალუტაში**: ფიქსირებული თანხა სპეციალურ სარეზერვო ანგარიშზე სებში
- **ლარების რეზერვების სარგებელი**: სების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
- **უცხოური ვალუტის რეზერვების სარგებელი**: 0%

სებ-ის სავალუტო ინტერვენციები

- **დანიშნულება**: ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა
- **რეგულაცია**: სების მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 14; 14-1 და 14-2
- **ოპერაციების სახეობა**: უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა
- **ბაზრის მონაწილეები**: სებ და კომერციული ბანკები
- **სებ-ის სავალუტო ინტერვენციების ფორმა**:
  - სავალუტო აუქციონი Bloomberg სისტემის აუქციონის მოდულით,
  - Bmatch ინტერვენციები Bloomberg სისტემის Bmatch პლატფორმაზე
- **აუქციონის დრო**: სავალუტო აუქციონისთვის ძირითადად 15:45-16:00 პერიოდში, ხოლო Bmatch ინტერვენციებისთვის სამუშაო საათების განმავლობაში.
- **ანგარიშსწორების დღე:** ინტერვენციის მომდევნო სამუშაო დღე (T+1)
- **ანგარიშსწორების პროცესი**: სებ აუქციონის და Bmatch ინტერვენციების შედეგად მიღებული გარიგებები Bloomberg სისტემიდან ავტომატურად იმპორტდება და ავტომატური ანგარიშსწორება ხორციელდება სებ-ის ძირითად საბანკო სისტემის და RTGS სისტემის მეშვეობით

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი: სპოტი

- **დანიშნულება**: ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა
- **რეგულაცია**: ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესი
- **ოპერაციების სახეობა**: უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა
- **ბანკთაშორის ბაზრის მონაწილეები**: კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ასევე სხვა ადგილობრივი და უცხოური კომპანიები;
- **ბანკთაშორის სავაჭრო სისტემა**: ძირითადად Bloomberg სავაჭრო სისტემა
  - RFQ პლატფორმა: მხარეებს შორის პირდაპირი გარიგება, შეუზღუდავი დრო 24/7,
  - Bmatch პლატფორმა: ავტომატური გარიგება პლატფორმის მონაწილე მხარეებს შორის ყიდვა-გაყიდვის კურსის თანხვედრა შემთხვევაში, სამუშაო დღეების განმავლობაში 10:00-18:00 პერიოდში.
- **ანგარიშსწორების დღე:**
  - RFQ პლატფორმა: მხარეთა შეთანხმებისამებრ T+0, T+1 ან T+2, ძირითადად T+0;
  - Bmatch პლატფორმა: მხოლოდ T+1;
- **ანგარიშსწორების პროცესი**: ლარით ანგარიშსწორება RTGS სისტემით, უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება SWIFT სისტემით.

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი: ფორვარდი

- <u>დანიშნულება</u>: კომერციული ბანკებისა და სხვა კომპანიებისათვის სავალუტო რისკის ჰეჯირების საშუალება
- <u>მონაწილეები</u>: კომერციული ბანკები თავისი სახელით და/ან ექსპორტიორ/იმპორტიორი კომპანიების დავალებით
- <u>ვადიანობები</u>: ერთდღიანი, ერთკვირიანი, ორკვირიანი, ერთთვიანი, ორთვიანი, სამთვიანი, ექვსთვიანი, ერთწლიანი
- <u>ფასების კოტირება</u>: კომერციული ბანკის მიერ Bloomberg სისტემაში
- <u>სავაჭრო სისტემა</u>: Bloomberg სავაჭრო პლატფორმა
- <u>გამოყენება ექსპორტიორებისათვის</u>: ლარის შესაძლო გამყარების გამო პოტენციური ზარალის მინიმიზაცია
- <u>გამოყენება იმპორტიორებისათვის</u>: ლარის შესაძლო გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის მინიმიზაცია
- <u>ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა</u>: ლარისათვის RTGS სისტემა; უცხოური ვალუტისათვის SWIFT სისტემა

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი

- **დანიშნულება**: კომერციულ ბანკებს შორის მოკლევადიანი ჭარბი ლიკვიდობით ვაჭრობა.
- **რეგულაცია**: სების დებულება TIBR ინდექსების გაანგარიშების შესახებ
- **მონაწილეები**: კომერციული ბანკები
- **ვადიანობები**: ძირითადად ერთდღიანი ბანკთაშორისი სესხები/დეპოზიტები
- **სავაჭრო პლატფორმა**: Bloomberg სავაჭრო სისტემა
- **TIBR ინდექსები:** სები 2009 წლიდან ანგარიშობს და აქვეყნებს ბანკთაშორის ფულად ბაზარზე რეალურ გარიგებებზე დაფუძნებულ TIBR საპროცენტო განაკვეთებს, რომლის რეფორმირება განხორციელდა 2018-2021 წლებში:
  - TIBR განაკვეთი - განახლებულია 2018 წლის აგვისტოდან
  - TIBR ვადიანი განაკვეთი - ამოქმედდა 2019 წლის მარტიდან
  - TIBR ნაზარდი ინდექსი - ამოქმედდა 2021 წლის ოქტომბრიდან
- **გამოყენება:** ფინანსური ბაზრის მონაწილეების მიერ სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისა და პროდუქტებისათვის
- **სტატისტიკური მონაცემები**

ფასიანი ქაღალდების ბანკთაშორის მეორადი ბაზარი

- **დანიშნულება**: ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა საინვესტიციო პორტფელის შექმნის და/ან დილინგური ოპერაციების და/ან მიმდინარე ლიკვიდობის მართვის მიზნით
- **მონაწილეები**: ყველა კომერციული ბანკი
- **ინსტრუმენტები**: სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები,
- **გარიგებების სახეობა**: პირდაპირი ყიდვა-გაყიდვა
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების GSSS სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით
- **სავაჭრო პლატფორმა**: Bloomberg სავაჭრო სისტემა, ასევე შესაძლებელია სხვა საშუალება მხარეთა შეთანხმებით
- **გარიგება Bloomberg სისტემაში**: Bloomberg სისტემიდან გარიგება STP პროცესით იმპორტდება GSSS სისტემაში ანგარიშსწორებისათვის
- **გარიგება Bloomberg სისტემის გარეთ**: მხარეები გარიგების მონაცემებს ანგარიშსწორებისათვის შეიტანენ GSSS სისტემაში
- **ტრანზაქციების დამუშავება**: STP პროცესი, GSSS სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით, DvP ტრანზაქცია გარიგების ანგარიშსწორების დღეს, GSSS სისტემაში ყოველ სამუშაო დღეს 09:40 საათიდან 18:40 საათამდე

ბანკთაშორის რეპო ოპერაციები

- **დანიშნულება**: კომერციული ბანკებს შორის უზრუნველყოფილი სესხება/გასესხება
- **რეგულაცია**: [რეპო გარიგების ჩარჩო მოდალური ხელშეკრულება]
- **მონაწილეები**: კომერციული ბანკები
- **ინსტრუმენტები**: სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები,
- **გარიგების სახეობა**: რეპო ოპერაცია
- **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა**: ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების GSSS სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით
- **სავაჭრო პლატფორმა**: Bloomberg სავაჭრო სისტემა, ან სხვა საშუალება მხარეთა შეთანხმებით
- **გარიგება Bloomberg სისტემაში**: Bloomberg სისტემიდან გარიგება STP პროცესით იმპორტდება GSSS სისტემაში
- **გარიგება Bloomberg სისტემის გარეთ**: მხარეები გარიგების მონაცემებს სტანდარტული ფორმატით თვითონ შეიტანენ GSSS სისტემაში
- **რეპოს პირველი ტრანზაქცია**: STP პროცესი, რეპოს ანგარიშსწორების დღეს, სამუშაო დღის დაწყებისთანავე GSSS სისტემა ავტომატურად ახორციელებს DvP ტრანზაქციას
- **რეპოს დაფარვის ტრანზაქცია**: STP პროცესი, რეპოს დაფარვის დღეს, სამუშაო დღის დაწყებისთანავე GSSS სისტემა ავტომატურად ახორციელებს დაფარვის DvP ტრანზაქციას
- **ანგარიშსწორების პერიოდი**: GSSS სისტემაში ყოველ სამუშაო დღე 09:40-დან 18:40-მდე